წელიწადი მე-2?
ტელეფონი № 76.
პარასკევი, 9 დეკემბერი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სამშობლო

ფასი 5 კ.

**გაზეთის ფასი:** წლიურად 9 მან., ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 აბ. ცალკე ნომერი ერთი შაური. **დამატებით 7 კ.** წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 4 მ., დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ

**განცხადების ფასი:** ჩვეულებრივი სტრიქონი ... პეტიტით ღირს 15 კ. ... სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 30 კაპ., უკან 20 კაპ. გლოვიარი განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევს 2 საათ. ღირს 4 მ. 2 საათის შემდეგ 5 მან.

რედაქცია და კანტორა იმყოფება თბილისის ქ., ქნ. მიქელაძის სახლში.

№ 503 — ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი. — № 503


# მიიღება ხელის მოწერა 1917 წლის

წლიწადი მესამე

## ყოველდღიურ საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთ

# „სამშობლო“-ზე

**გაზეთის ფასი:** ერთის წლით 15 მან.
ნახევარი წლით 8 მან.
ერთის თვით 1 50 კაპ.

თვიური ხელის მოწერა მიიღება მხოლოდ თვის პირველიდან.
წლიურ ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ შემოიტანონ ნაწილნაწილათაც: პირველათ 5 მან. ხელის მოწერისათანავე. მეორეთ 5 მან. მარტის გასულს და 5 მანეთიც ივნისის გასულს.

რედაქციის კონტორა ღიაა დილის 8 საათიდან 3 საათამდე და ნაშუადღევის 5 საათიდან 8 საათამდე. რედაქტორის ნახვა შეიძლება დილის 8 საათიდან 11 საათამდე.

რედაქტორი—ი. თ. ციცაძე.
გამომცემელი **ამხანაგობა „სამშობლო“.**

**მისამართი:** ქუთაისი, თბილისის ქუჩა, სახლი მიქელაძისა.
**დეპეშისათვის:** ქუთაისი „სამშობლო“.

---

სოფიო დავითის ასული ანტონოვისა, რითა დავითის ასული, ივანე, კონსტანტინე, იოსები დავითის ძენი სიდავა და პეტრე პეტრეს ძე ფილიპეშვილი, გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ გარდაცვალებას პირველნი ძვირფას და საყვარელ დედისა და მეორე დაუვიწყარ დისა

### მარიამ პეტრეს ასული სიდავასი,

გამოსვენება დანიშნულია 9 ამა დეკემბერს, პარასკევს დილის 10 საათზე საკუთარი სახლიდან, კათოლიკების ქუჩაზედ რომის კათოლიკეთა ეკლესიაში. დაკრძალვა საფიჩხიის სასაფლაოზე. პანაშვიდები ყოველდღე საღამოს 5 საათზე.

---

გაუბედურებული ქვრივი მატრონა კირილეს ასული, შვილები: ნინო, ლიდა, არჩილი და დავითი, სიდედრი დარია გიორგის ასული ჯიბლაძისა დები: თებროლე და მენიკი ლექავებისა, ნატალია რუხაძისა და სიძე ლევან გლახუას ძე რუხაძე გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ ქუთაისის მთავრობის ქალთა გიმნაზიის სალვთო სჯულის მასწავლებლის დეკანოზ

### მელიტონ მიხეილის ძის ცაგარეიშვილის

ტრაღიკულათ გარდაცვალებას—4 დეკემბერს. პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 5 საათზე საკუთარ სახლში, ჭავჭავაძის ქუჩაზე. გამოსვენების და დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული.

---

ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების ქუთ. განყოფილების

## გამგეობა

ამით აცხადებს, რომ თერთმეტ (11) დეკემბერს დილის თერთმეტ საათზე მავი ქეის მრეწველთა საბჭოს დარბაზში დანიშნულია განყოფილების წევრთა საგანგებო

## საერთო კრება

განყოფილების **სტამბის** გაყიდვის საკითხის განსახილველათ. გადამწყვეტი ხმა ექნება იმათ, ვინც 1915 წლის წევრთა სიაში არის მოხსენებული; ან ვინც 1916 წ. საწევრო ფულის კვიტანციას წარმოადგენს.

---

**ექიმი მულინი** ყელის, ცხვირის და ყურების დებულობს ავადმყოფებს ნაშუადღევის 2—3 საათამდი, საღამოს 6—8 საათამდი, კვირას გარდა.
თფილისის ქუჩა № 70 სახლი ქაიხოსრო ჯაფარიძისა.

---

**მასაჟისა და სახის სამკურნალო კაბინეტი**

### მარიამ ტ. გალანჩივაძისა.

ვკურნავ მასაჟით, საექიმო ვარჯიშობით. ვსპობ სახეზე: მუწუკებს, ნაოჭებს. ჭორფლს, მეტ სიწითლეს, ნაყვავილებს და ყოველგვარ სახის ავადმყოფობას, ამასთან ... ყვავილსაც და აგრეთვე **ნამდვილათ მარჩენ** თავზე კანის ქერცლს, ანუ ქეტერს ჩემგანვე ახალ გამოგონილ წამლის საშუალებით. ქეტერის მოსპობის შემდეგ თმა სრულიად აღარ ცვინდება და იღებს სასიამოვნო ფერსა და სირბილეს.
ავადმყოფები მიიღება დილის 9—2-დე და საღამოს 4—6 საათ. რჩევა და დარიგება ათი შაური. მისამართი: დადიანის შესახვევი, ბ. კოსტავას სახლები. № 17.
304—1—თვით.

---

**ექიმი** გაბრიელ იოსების ძე **გოკიელი** დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება. ელექტრინისა და სინათლის კაბინეტი. შინაგანი ნევროზისა და ვენერიულ ავათმყოფთათვის. ავადმყოფნი მიიღებიან დილის 9—12 საათ. და საღ. 6—8 საათ.
6-8 ალექსანდრეს ქ. საკუთარი ს. თ.

---

**ექიმი** ა. დ. **მაჭავარიანი** (ყოფილი უფროსი ექიმი სმეცკის გულსუსტებიანთა სანატორიისა) იღებს შინაგან და ვენერიულ ავათმყოფებს დილის 8—10 და საღამოს 6—8 საათამდე.
დადიანის ქ. სახლი ჩაჩანიძის (წულეისკირისეული)

---

**ბებია** მ. მ. **კოხრეიძე** უცრის ყვავილს, უკეთებს ნემსებს, ეხმარება მშობიარეთ და აძლევს ავათმყოფთ რჩევა-დარიგებას ყოველ დროს. ალექსანდროვის ქუჩა, სვ. თევდორაძის სახლი, ფილიპოვის მაღაზიის პირდაპირ.

---

**იყიდება სახლი და მამული** 2 სართულიანი ქვის შენობა ქვის სარდაფით. მიწაა 350 კვ. საჟ. ქუთაისში პუშკინის ქ., № 10. პირობების გასაგებათ მიმართეთ თბილისში მიხეილის ქ. № 113,
**ექიმ გოკიელოვს.**

---

ქუთაისის ქალაქის თეატრი წარმ. № 28.
**ბენეფისი ნინო ჩხეიძისა.**
კვირა, 11 დეკემბერი 1916 წ.
ალ. დიუმა.

## მარგარიტა გოტიე

დრ. 5 მოქმ. თარგმანი ვ. გუნიასი და ალ. იმედაშვილისა.

მონაწილენი: ქ-ნი ბეჟანიშვილი ს., ლოლუა ა., მდივანი მ., ჩხეიძე ან., ჩხეიძე ნ.
ბ-ნი გელოვანი მ., გომელაური ზ., იმედაშვილი ალ., კორიშელი პლ., მურუსიძე ან., სარელი ვლ., ყალაბეგიშვილი ალ., ჩხიკვაძე ვ.

რეჟისორი ალ. იმედაშვილი. თანაშ. ალ. გუგუშვილი. ადგილების ფასი საბენეფისოა.
მორიგი წევრი გამგეობისა: ე. მ...ისაშვილი და გრ. ლადიძე
ადმინისტრაცია დრამატ. საზოგად. გამგეობისა. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.
**წარმოდგენის დროს დარბაზში შესვლა არ შეიძლება.**

---

ელექტრო **„რადიუმ“** თეატრი
ხუთშაბათიდან, 8 დეკემბრიდან ახალი პროგრამა
**მეკობრის დალუკვა**
სამხედრო სანახაობა

## ბედის ტრიალი

მოსკოვის ცხოვრებიდან, 4 ნაწ. რებიკოვასი და გრამოვის მონაწილეობით.

**ორ ქმარს შუა** სახუმარო 2 ნაწ. ალსტრუპის მონაწ.

---

ელექტრო **„ამპირ“** თეატრი
ხუთშაბათიდან, 8 დეკემბრიდან ახალი პროგრამა
**მეკობრის დალუკვა** სამხედრო სანახაობა
2 სერია:

## აფთრები (ვამპირები)

კინო რომანი 3 ნაწ.

**სიყვარულმა გადარია**
სახუმარო

---

## განცხადება

გამოვიდა და იყიდება მშვენიერი

**ქართული კედლის კალენდარი**

კ. ოცხელის წიგნის მაღაზიის მიერ გამოცემული ქუთაისში
ფასი 4 აბაზი.

# მსოფლიო ომი.

(პეტროგრადის დეპ. სააგ.).

**უმაღლეს მთავარსარდ. შტაბისაგან.**

7 დეკემბერი

**პეტროგრადი.** დასავლეთის ასპარეზი. გრამკოვცეს მიდამოებში, ტარნოპოლ-ზოლოჩევის რკინის გზაზე, მოპირდაპირის ერთი ბათალიონი ზარბაზნებით გავანადგურეთ. ბრზეჟანის სამხრეთით მოპირდაპირე სოფ პოტუტორის სამხრეთ მიდამოებს მძიმე ზარბაზნებს უშენდა. ტყიან კარპატებში მტრის 2 როტამ სცადა იერიშით წამოსვლა ხოლეს აღმოსავლეთით 2 ვერსზე, ლა-მუნტელუს მთის სამხრეთით, მაგრამ სროლით უკუვაგდეთ.

**კავკასიის ასპარეზზე.**

არსებითი არაფერი მომხდარა.

**რუმინეთის ასპარეზი.**

სოფ. ბაგოტუს მიდამოებში, ვიზიროუს დასავლეთით, მოპირდაპირის 2 ესკადრონი, გაიშალა, მაგრამ სროლა ავუტეხეთ და უწესრიგოდ უკანვე გავაბრუნეთ. მტერმა 2 დაზიანებული ზარბაზანი და ყუთები ადგილობრივ დასტოვა.

**ათინა.** ათინის სააგენტო იტყობინება ათინის მთავრობა ოფიციალად უარჰყოფს „ეკო დე პირი“-ს ცნობას, ვითომც ეკატერინის ჩრდილოეთით საბერძნეთის მეფისა და საფრანგეთის ჯარს ბრძოლა ჰქონოდეთ. დაწესებული ნეიტრალი ხაზი არც ერთხელ არ გადალახულა. აგრეთვე ტყუილია და საზღვარგარედ განზრახ გავრცელებული ხმები, ვითომც დატუსაღებული ვენიზელოსელების უმეტესობა დაგვესაჯოს. მთავრობა ოფიციალად აცხადებს, რომ არც ერთი ვენიზელოსელი არ დაუსჯია და მათი საქმე სასამართლოს წესით სწარმოებს.

**ლონდონი.** ინგლისის საადმირალო ოფიც. იტყობინება: დასავლეთისაკენ მიმავალი ცარიელი სატრანსპორტო გემი „თუსიან“-ი, რომლითაც ცხენები გადაჰყავდათ ხოლმე. 1 ქრისტეშობისთვეს წყალქვეშამ დალუპა ხმელთაშუა ზღვაში. დაიღუპა 11 მეზღვაური და 17 ამერიკელი მეჯორე.

ჩვენმა მფრინავებმა ტუზას მიდამოებში დააზიანეს გევგელიდან ჩერნიშტეში მიმავალი მოპირდაპირის ტრანსპორტი.

**ლონდონი.** ოფიც. ცნობა მესოპოტამიის ასპარეზისა. ინგლისელთა მზვერავებმა აღმოაჩინეს, რომ კუტ-ელ-ამარიდან 7 ვერსის მანძილზე, ნავტიკების ხიდს აკეთებენ. მრავალრიცხოვანი არაბთა ჯარი ზარბაზნებით მოვიგერიეთ. ჩვენი ზარალი უმნიშვნელოა.

**პარიზი.** დღის ოფიც. ცნობა. სიღლის სამხრეთით მოპირდაპირემ მოულოდნელი იერიში მოიტანა, შემოიჭრა ერთ ერთს წინ წაწეულ სანგარში, მაგრამ გავდევნეთ. ლუვემონ-შამბერტის მიდამოებში, მაასის მარჯვენა ნაპირას, მტერი ზარბაზნებს გვიშენდა მთელი ღამის განმავლობაში.

ვერდენის მიდამოებში მტრის ერთი საფრენი ჩამოვაგდეთ ბერბებუასთან, მეორე კი ორნის მახლობლად. დონიურმეზისა და მონმიდის რკინის გზის სადგურებზე და აზანის მახლობლად მდებარე მტრის ბანაკს ჩვენმა მფრინავებმა 325 ფუთამდე ყუმბარები დაყარეს.

მაკედონიის ასპარეზზე 5 ქრისტეშობისთვეს არსებითი არაფერი მომხდარა.

**ლონდონი.** ირლანდიის რკინის გზები მთავრობის ხელში გადავიდა.

**პარიზი.** გარეშე საქმეთა სამინისტრო იტყობინება: ამერიკის საელჩოს მოთათბირემ გარეშე საქმეთა მინისტრს გერმანიეთის მთავრობას ნოტა გადასცა, სადაც ნათქვამია, რომ კანცლერის მიერ ნოტის გადაცემას არავითარი სიტყვიერი განმარტება არ დართვია.

**რომი.** დეპუტატთა პალატა. გარეშე საქმეთა მინისტრმა განაცხადა, რომ გერმანელთა მიერ ვერაგული ზავის შესახებ ჩვენი მოკავშირეების აზრს ვიზიარებთო. პალატამ ნდობა გამოუცხადა მთავრობას 382 ხმით 41 წინაამდეგ.

## ჟურნალ-გაზეთებიდან.

**ომის გარშემო** „რუს. სლოვოს“ ცნობით საფრანგეთის პარლამენტში ოპოზიციური სულის კვეთება თანდათან ძლიერდება. ბრიანის კაბინეთს წინა კვირაში ნდობა გამოუცხადეს 346 ხმის უმეტესობით წინაამდეგ 172 ხმისა. 1 დეკემბერს კი პარლამენტში ბრიანის თანამგრძნობთა რიცხვი 314 დე დავიდა; ამ გარემოებას გაზეთები იმითა ხსნიან, რომ მინისტრთა ეხლანდელ კაბინეტში აღარ არიან სოციალისტები გედი და სამბა.

**ომის წვრიმანები.** როგორც ვუწყით ინგლისელებმა თავის ბრძოლის პირზე საფრანგეთში ახალი უზარ-მაზარი ჯავშნიან ავტომობილებით სარგებლობენ. ამ ავტომობილებს შეუძლიან იარონ როგორც სწორე გზაზე ისე ხევებში, საერთოდ უსწორ მასწორო მინდვრებზე, მცირე გორაკებზე, თხრილებზე და სხვა. გერმანელებს მაშინვე მიუღიათ ზომები და უზარმაზარი „ხმელეთის კრეისრები“ დაუმზადებიათ· თითო მათ ჯავშნიან ავტომობილში 45 კაცი ეტევა და ზედ გამართული ყოფილა ჩქარა მსროლელი ზარბაზანი და ტყვიის მფრქვევლები ათი ამისთანა ავტომობილი უკვე მოუტანიათ გერმანელებს ბრძოლის ველზე.

**რუმინეთი.** გერმანელებს რუმინეთში თავის წესრიგი შეაქვთ და ადგილობრივ სიმდიდრით სარგებლობას უკვე შესდგომიან. ბუქარესტში მოუწვევიათ ქალაქის ახალი საბჭო, რომლის სათავეშიაც ცნობილი გერმანოფილი კარპი დაუნიშნავთ. საბჭო მაშინვე სურსათ-სანოვაგის რაოდენობის გამოკვლევასა და ძალით შესყიდვას შესდგომია. ვინც დამალავს რაიმე სურსათს, მას გაუსამართლებლად სიკვდილით სჯიან. რაც რამ ხორბალი ყოფილა მოგროვილი ინგლისელებისა და ფრანგების საექსპორტო ბეღლებში სულ მიუსაკუთრებიათ გერმანელებს. გაზეთების ცნობით რკინა და ტყავეულობა ნაკლებად უგდიათ ხელთ გერმანელებს.

**სამხედრო მოქმედება.** მარსელიდან პეტროგრადში ცნობა მიუღიათ, რომ ხმელთა შუა ზღვაში გერმანელთა წყალქვეშას საფრანგეთის დიდი გემი „ალაქერი“ ნალმით დაულუპავს.

— გერმანელთა წყალქვეშებს დაულუპავთ აგრეთვე ნორვეგიის გემი „ბიოლი“, ხოლო ნორვეგიის მეორე გემი გერმანელთა წყალქვეშას თავის ნავთსადგურში წაუყვანია.

— **საბერძნეთი** მოკავშირენი ძლიერ არიან აღშფოთებულნი იმ გარემოებით, რომ საბერძნეთმა არ შეასრულა თავისი დაპირებანი. ათინაში მომხდარ დარბევის შემდეგ მეფე კონსტანტინემ სიტყვა მისცა, რომ იგი მობილიზაციას არ მოახდენ და და უკვე მოკითხულ ჯარს სახლებში დააბრუნებდა მაგრამ გავიდა მოკლე ხანი და საბერძნეთის რკინის გზები ჯარისა და იარაღის სტრატეგიულ პუნქტებში ზიდვას კვლავ შეუდგნენ. ამის გამო 1 დეკემბერს საბერძნეთს მოკავშირეებმა ულტიმატუმის ხასიათის მქონე ნოტა გაუგზავნეს. მოკავშირეები თხოულობდნენ, რომ მეფე კონსტანტინეს 48 საათის განმავლობაში ჯარის მთლიანი დემობილიზაცია მოეხდინა და მთელი არტილერია სამთო, საველე, საალყო, საციხოვნე— ერთიან გადაეცა მოკავშირეებისათვის. რა მოჰყვა ამ ნოტას ჯერ არაფერი სჩანს. მხოლოდ საბერძნეთსა და მოკავშირეთა შორის ომს დიპლომატიურ წრეებში დღედღეზე მოელიან.

## ჩვენ მკითხველებს.

დღეს ვაცხადებთ ხელის მოწერას მომავალ 1917 წლისათვის და გაზეთის ფასად ვნიშნავთ ხუთმეტს მანათს.

ბევრს ეს ფასი დიდად ეჩვენება, მაგრამ თუ გაითვალისწინებენ დღევანდელ მდგომარეობას, თუ ასწონ დასწონავენ ამ დუხჭირს პირობებს, რომლებშიც გვიხდებოდა წარსულ წელში გაზეთის გამოცემა და რომელი პირობებიც უფრო გართულდება მომავალ წელში, სრული იმედი გვაქვს რომ მკითხველი ჩვეულებრივად თავის თანაგრძნობას არ მოგვაკლებს.

სხვა გაზეთებმა ჯერ ისევ შარშანვე მოუმატეს ფასი რადგანაც თორმეტ-აბაზიანი იზმა ქაღალდი თორმეტი მანეთი გახდა, ჩვენ კი რის წვალებით მოვაღწიეთ დღევანდლამდე და ახლა იმაზეა დამოკიდებული, თუ თვით მკითხველი როგორ შეგვიწყობს ხელს.

ჩვენ ვიცით, რომ ბევრი და დიდი ნაკლი ჰქონდა ჩვენს გაზეთს, ვიცით რომ კიდევ დიდი ნაკლის დაძლევა მოგვიხდება, მაგრამ ერთს კი გულ ახდილად მოვახსენებთ ჩვენს მკითხველებს:

ჩვენ ყოველთვის გულწრფელნი ვიყავით. ის იდეა, ის დედა აზრი კი, რომელსაც ჩვენ ვემსახურებით იმდენად შესაბამია ჩვენი—ქართველი საზოგადოებისათვის, რომ ჩვენ თამამად ვაცხადებთ ხელის მოწერას, ვინაიდგან გვწამს, რომ ამ დედა აზრს ყველა გულით ატარებს და მხოლოდ შეერთებული მეცადინეობა მოგვცემს საშუალებას ლელოს გატანისას.

მაშ, გისურვებთ ერთგულებას ამ იდეისადმი და გთხოვთ გვიმსახუროთ ჩვენც ჩვენის ძალღონის მიხედვით.

„სამშობლოს“ რედაქცია
და გამომცემელი ამხანაგობა.

## ქ. ქუთაისი, 9 დეკემბერი

**ერთი მხეცური მკვლელობის გამო.** მთელი ქუთაისი აღშფოთებულია ყველასაგან კარგად ცნობილის, ჩუმისა და წყნარი მუშაკის დეკანოზ მელიტონ ცაგარეიშვილის მხეცურად მოკვლის გამო. მთელი ქუთაისი დაადონა და ჩააფიქრა ამ ვერაგმა მოვლენამ, რას ვშვრებით? რას ვჩადივართ? საითკენ მივისწრაფვით? რამ დასცა ჩვენში ზნეობა და ადამიანობა? აი ის საკითხები, რომლებიც მოსვენებას არ გვაძლევენ და რომლებიც შავსა და მწარე ფიქრებს გვიკარნახებენ. .

ამ უკანასკნელი ოცი-ოცდა ათი წლის განმავლობაში„საქართველო,—მშრომელი, მოაზროვნე და მომქმედი საქართველო— თითქოს შესდგა სრულ გაევროპიელების გზაზე, თითქოს იმდენად გამოფხიზლდა რომ დიდი რუსეთის დიდ მოძრაობას სათავეშიაც კი მოექცა. ამ ოცი ოცდა ათი წლის განმავლობაში თითქოს განუწყვეტლივ ვქადაგებთ, რომ უნდა ვიყვნეთ ერთმანეთის მომხმარე, უნდა გვიყვარდეს სამართლიანობა, უნდა გვწამდეს ძმობა და ერთობა, მაგრამ როგორც სჩანს სიტყვები სიტყვებათვე რჩებიან და ჩვენი ზნეობა, ჩვენი შინაური საქმეები, ჩვენი ურთიერთობა უფრო ეცემა, უფრო ირევა და უფრო მწვავდება!

საქართველო მიაგავს იმ მოჯადოებულ სახლს, იმ გზა აბნეულ ოჯახს, რომლის წევრებიც ერთმანეთს სჭამენ და გაბოროტებულნი ავსა და კარგს ველარ არჩევენ.

დაიკარგა ძველებური სალამი, დაიკარგა ძველებური მეზობლობა, დაიკარგა ძველებური გულ-ახდილობა, დავიწყებულ იქმნა ქართველური ... და ... ლი, დაკნინდა ქართველური გულისთქმა და თავაზიანობა!

თვით ქართველების სახელგანთქმული ვაჟკაცობაც კი წუნკალობაზე შეიცვალა და პირდაპირ, ადამიანურ იურიდიულ-უფლებრივ და იდეურ ბრძოლის ნაცვლად ზურგიდან ვეპარებით ხოლმე ერთმანეთს და საზიზღარ ცილის წამებითა და ჰორიკანობით, ძალმომრეობითა და თავდავიწყებულ ჯიუტობით ვამცირებთ, ვჯაბნით და ვსპობთ ერთი მეორეს!

გარედან რომ შეხედოს კაცმა ეგონება: ქართველობა ყველა სოციალისტია, ყველა ციდან ვარსკვლავების ჩამოტანას აპირებს; ყველა მზად არის თავი შესწიროს და ანაცვალოს ქვეყანას და ქვეყნის საქმეს, მაგრამ თუ კარგად ჩაუკვირდებით, დავინახავთ, რომ თითოეული მზად არის გროშზე გაჰყიდოს მეორე, ოსპის შეჭამადზე გასცვალოს ქვეყანაც და ქვეყნის საქმეც!

გარედ მყვირალნი, შინ ნაცარჭექიაობთ და ყოველივე წმინდათა წმინდას ვბღალავთ და ვლახავთ.

გადაჭარბებაში ნუ ჩამოგვართმევთ ამ სიტყვებს! ერთ წუთას მაინც ვიყოთ გულწრფელნი და თამამად ვაღიაროთ ჩვენი უბედურება, ჩვენი გზააბნეულობა, ჩვენი ორჭოფობა და არა ადამიანური ურთიერთობა, რომელსაც უნდა ვხედავდეთ ყოველ ფეხის გადადგმაზე:

აიღეთ ჩვენებური ჯგუფური ურთიერთობა, ჩვენი გაზეთების ყოფა-მდგომარეობა, ჩვენი ოჯახური რაობა, ჩვენი ეკლესიური ვინაობა, ჩვენი სასკოლო საქმე, ჩვენებური აღებ-მიცემობა, ჩვენებური სოფლის ცხოვრება, ჩვენი მოქალაქეობა, ჩვენი—სულ უბრალო და სადა შინაური ცხოვრება და თქვენ დამეთანხმებით, რომ ყველგან და ყოველ შემთხვევაში ჰმოქმედებს მხოლოდ ჩვენი გაავზნევება და ჰკუთგონების აფორიაქება, გულის და გრძნობის გათახსირება!

ჩვენებურმა მუშამ იცის მხოლოდ მოთხოვნილება და აღარ ესმის მოვალეობა, ჩვენებურმა ვაჭარმა იცის მხოლოდ ფულის მოგება და არ იცის მისი საქვეყნოდ მოხმარება.

ჩვენებური მღვდელი, თუ ერი, დიდი თუ პატარა აჭყლია მარტო ჯგუფურს, კერძოობითს, შენჩემებურ და წვრილმან გულისთქმას და გარეგნულ მარმაშებს, გარეგნულ ბრჭყვიალებას, გარეგნულ იარლიკს სწირავს შინაგან აუცილებლობას, შინაგან სისპეტაკეს, შინაგან უსაჰიროესს მოვალეობის ასრულებას!...

ეს რომ ასე არ იყოს, მაშინ უქმად აღარ ჩაივლიდენ საქართველოს უკეთესს შვილთა ქადაგებანი და საქართველოს

## ქებათ-ქება

**მეფე—სოლომონისა.**

შესავალი.

მხოლოდ სიზმარს ჰგავს ჩვენი ცხოვრება,
ყოველი წუთი სულს ხალისს ჰპარავს;
საფლავის კარებს ვუახლოვდებით
და სიკვდილისაგან ვინ დაგვიფარავს?!
წამიერ სწრაფვით მოსულნი ქვეყნად
გავქრებით ისე, ვით ნისლი ჩქარი
და დავიწყების მტვერს გადააყრის
ჩვენს ხსოვნას დროთა მსვლელობის ქარი,
ვინ მოიგონებს, ვინ გაიხსენებს
ჩვენს სწრაფვა-სურვილს, ჩვენს ნაფიქრ ნათქვამს

ჟამი ჩვენს სხეულს გაალამტვერებს,
არარაობა კი სახელს შთანთქავს...
მაგრამ ვეტრფოდით ჩვენ ერთმანეთსა
ვეტრფოდით წრფელად და უანგაროდ,
და, ოჰ, წარსული, ჩვენი წარსული,
ნეტავი რისთვის დავასამაროთ?
ვფიცავ სხივს პირველ სიყვარულისას
მტანჯავს, მალონებს შენი ხსენება
წყლული ვარ, წყლული ტრფიალებითა
რა ვქნა, რა ვუყო, არ მესვენება.
და როგორც ოქროს არ ეკიდება
ჟანგი და მტვერი დროთა ფერხულში,
ისე უბიწო შენს სიყვარულსა
ვერვინ სპობს; სატრფოვ, ამ ნაცრემლ გულში,

რაც შენ დაგშორდი წარსულს ვიგონებ
და ვსევდიანობ, ვატარებ შავსა,
გიხმობ, გეძახი, უძვირფასესო,
სულის მახლობელს და ნათესავსა,
გიხმობ, გეძახი, სულამიტ ჩემო,
უსაყვარლესო, სურნელთ „მფრქვეველო,
და შენ გიგალობ, როგორც ღვთაებას
ქებათა-ქებას, დამატყვევველო.
მაშ, ნუ გვიანობ. . ისწრაფე ჩემსკენ
და გულს მოჰფინე სხივი რჩეული,
რომ ამეტყველდეს ჩვენის სახელით
კაცობრიობის ყოფნის რვეული!

**თავი I**

1 მეამბორე ვარდის ტუჩით
დამანახვე თეთრი კბილი,
ღვინო ისე ვერ დამათრობს,
როგორც ტრფობა—შენი ტკბილი.

2 ათრთოლებულ ბაგის რხევით
ვიმეორებ შენსა სახელს,
უხვად დაღვრილ ნელსაცხებლის
მომგონებელ, გამომსახველს,
სხვა ყვავილებს სუნს უკარგავს
სურნელება წმიდა შენი,
რჩეული ხარ ასულებში,
ყოველგვარად დანამშვენი!

3 მიმიზიდე, გული ჩემი
მიეც ძგერას განუკურნელს,
უკან გდევ და ხარბად ვყნოსავ
შენგნით კმეულ ამბრა-სურნელს,
ჩემმა სულის მეგობარმა
შემიყვანა მე დარბაზა,
ვიხარებდი და ვიშვებდი
შევეტრფოდი გრძნობა ნაზსა.
ყურძნის წვენზე ძვირფასია
ოჰ, ალერსი შენი მწველი,
და გულწრფელად გეტრფის, ტურფა,
შენ მიჯნური მახლობელი

4 ოჰი ასულნო ერუსალიმის,
შავი ვარ შავი და მშვენიერი.
ისეთი ნაზი და წარმტაცია
ჩემი სიტურფე, ჩემი იერი,
ვით კრეტსაბმელი სოლომონისა
როგორც კედარის შავი კარავთ,
ანუ ვით ვარსკვლავთ ოქროს ჩანჩქერი
ტბის სილივლივით მონაპარავი

5 ნუ მიცქერი, რადგანაც მზემა
დამაჩინა შავი ლაქა,
მე ვენახის დამცველად
გამომგზავნა ეს ძმებმა აქა,
მაგრამ რა ვქნა, ვერ დავიცევ
თვითონ ჩემი სავენახე,
ნუ მიცქერი, მზემა დამწვა,
ნეტამც შენ აქ არ გენახე.

6 შენმა ხილვამ სულსა ჩემსა
ნეტარება აგრძნობინა,
მითხარ, სად მწყესი ან შუადღით
ცხვარსა შენსა სად აქვს ბინა?
შენ, ვინც სულმა შეგიყვარა,
მიმატოვებ მარტოდ, ობლად
რისთვის დავრჩე სევდით სავსე,
როს ყოფნა მსურს შენს მახლობლად.

7 ნუ თუ არ იცი მე სადა ვმწყსი
უტურფესო, ასულთ შორის,
მიატოვე ეს ვენახი
ეს ადგილი, ეს მინდორი,
ნამწყემსურის ნაკვალევზედ
წამოასხი შენ თიკნები
და იქ ნახე ჩემსა კარავს,
მახლობელო, იქ ვიქნები,

8 ეგ თვალები შუბ-ისრობენ
ბრძოლის ველად ჰხამს თამაში
შენც ისეთი ლამაზი ხარ.
ვით ძვირფასი ქურციკ—რაში
ფარაონის ეტლისათვის
საგანგებოდ არჩეული
თავის სწორსა რომ ვერ ხედავს
გიჟმაჟობას დაჩვეული!

9 ჩემი სულის ყვავილნარში
მე ავასხამ ცხოველ სხივებს,
შეგამკობ და დაგამშვენებ,
გულს დაგკიდებ ოქროს მძივებს.

10 სამკაულად მარგალიტებს
ვერცხლის ძაფზედ ჩამოთვლილსა,
მოგიძღვნი და მოუხდება
ყელს სიტურფით გამოთლილსა,

11 ოჰ, რიგად მშვენიერობ
ჩემო სულის ნახევარო
ო, რა რიგად მშვენიერობ
საყვარელო მეგობარო.
თვალნი შენნი მტრედისანნი
სხივოსნობენ შუბისრობენ
და ამ ჩემს სულს, მახლობელო,
სიყვარულსა მოუთხრობენ.

12 გულმზიანობ, ყვავილნარობ,
ნურც გხედავდე ფიქრნისლოვანს!
ოჰ, რა რიგად შვენი, ჩემო,
ჩვენს სარეცელს მწვანელოვანს.

13 შენთან ვარ და შენთან ყოფნა
სულს ავსებს და ამაისებს,
სახლის ჭერად ნაძვებს ვმხმარობთ,
სახურავად კვიპაროსებს.

(შემდეგი იქნება).

## ლოცვები.

**რაბინდრანათ თაგორისა.**

1

შენ მე უსაზღვროდ გამხადე—ასეთია სურვილი და ნება შენი. შენ კვლავ ახლად სცლი ამ მყისე ბარძიმს და ისევ ავსებ მას ახალი ცხოვრებით...

შენ ყოველ გორაზე, ბარზე ატარებდი ამ ლერწმის სალამურს და ათავსებდი მას ში სულ ახალ მელოდიებს.

შენი ხელების უკვდავ შეხებით პატარა გული ჩემი ჰკარგავს სიხარულში თვის საზღვრებს და ჰბადებს გამოუთქმელ სიტყვა-სურვილებს.

შენი უთვალავ საჩუქრებს მე ვიღებ აი ამ პატარა ხელებით. საუკუნები გადიან, შენ სულ უხვად ჰფენ ქვეყანას სიმდიდრეს, შენ სულ იცლები, მაგრამ მაინც რჩება ადგილი ასავსებლად.

2

როდესაც შენ მიბრძანებ ვიმღერო, მე მგონია, რომ გული ჩემი მზად არის შუა გაიპოს სიამაყისაგან, გიმზერ მაშინ შენ და ჩემს თვალებზე ცრემლები ივსებიან.

ყოველივე, რაც უხეში და ტლანქი არის ჩემს ცხოვრებაში, იხსნება ერთს ტკბილ ჰარმონიაში და ჩემი თაყვანის ცემა ისწორებს თვის ფრთებს, როგორც მხიარული ფრინველი თვის ძალ ფრენაში ზღვის ფართო სივრცეზე.

მე ვიცი, რომ შენ გსურს სიმღერა ჩემი მე ვიცი, რომ მხოლოდ ვით მომღერალი ვსდგები მე შენს წინაშე.

ჩემი სიმღერის ფართოდ გაშლილი ფრთის კალთით ვეხები მე შენს ფეხებს, რომლის მოახლოვებას მე ვერაოდეს ვერ გავბედავდი. დამთვრალი სიმღერის მხიარულებით, მე ვივიწყებ ჩემს თავს და გიწოდებ შენ, ჩემს მეგობარს,—შენ ჩემს მეუფეს...

3

მე არ ვიცი, ვით იმღერ შენ, ჩემო მეუფევ! მე მარად გისმენ იდუმალ განცვიფრებით.

სინათლე შენი მუსიკისა აცისკროვნებს ხილულ მსოფლიოს სცხოველ-მყოფელი სუნთქვა შენი მუსიკისა ევლინება ქვეყანას წმინდა, უბინო მიმდინარეობა შენი მუსიკისა ძირიანად სთხრის ყოველგვარ წინააღმდეგობის კედლებს და მიისწრაფის სულ წინ.

მებრძოლთა ყიჟინა ასე უკუღმართად არ იქნებოდა გაგებული და საერთო სოციალურ-უფლებრივი კეთილდღეობა კაცის ვერაგულად მკვლელობაზე არ დახურდავდებოდა...

სირცხვილია ქვეყნისა, თავის მოჭრაა ჩვენი, თორემ დაწვრილებით, ფაქტიურად და მაგალითების, — ავი და შავი მაგალითების ალნუსხვით დავამტკიცებდით, რომ ქართველი კაცის ზნე და ხასიათი უკიდურესობამდე დაეცა და ამაში ყველაზე დიდი დანაშაული მიუძღვის იმათ, ვინც დაივიწყა საქართველოს ისტორია, მისი უფლებრივ-იურიდიული სამსჯავრო, მისი სოციალურ-ხალხოსნური დანიშნულება, მისი პოლიტიკურ-ეკონომიური რაობა და ყველაფერი მოდასა და მაღლა მყვირალობას შესწირა...

მოკვდა საქართველო უფლებრივად და კვდება საქართველო ზნეობრივადაც... და რომ სულ მთლად არ მოკვდეს, საჭიროა ყველა, ვისაც კი მართლა გული შესტკივა ჩვენის ქვეყნისათვის, შეერთდეს და აღადგინოს უფლებრივი ყოფა თავის ქვეყნისა, საჭიროა შექმნა ისეთი ძალისა, რომელიც თითოეულ ჩვენთაგანს თავის ადგილას უჩვენებს, დაამყარებს ჩვენში გონებრივ-ზნეობრივ დისციპლინას, აღადგენს საქართველოს იურიდიულ შეგნებას, დაამკვიდრებს უფლებრივ შემეცნებას და თითოეულ ჩვენთაგანს მოთხოვნილებასთან საქვეყნო მოვალეობასაც დააკისრებს!..

უმისოდ მალე ერთმანეთს დავჭამთ და ვერავითარი მაღლაყვირილი ველარ გვიშველის!

მაგალითები თვალ-წინა გვაქვს! ..

ვისაც გული საგულესა გაქვთ და ჯერ კიდევ არ დაუბრმავებიხართ ჯგუფურსა, კერძოობითსა და პირადულ თავდავიწყებას, — შეიბრალეთ თქვენი ქვეყანა და ხალხი ჩააყენეთ თავის ეროვნულ კალაპოტში.

ამის იქით ხსნა არ არის!

ია ეკალაძე.

# ახალი ამბავი.

ქუთაისის ქართული გიმნაზიის ღარიბ მოსწავლეთა დამხმარე საზოადოების ტრადიციული საღამო გაიმართება საზოგადო საკრებულოს დარბაზში 21 დეკემბერს. როგორც გადმოგვცემენ, საღამო ფრიად შინაარსიანი იქნება.

✦ ცნობა ტრაგიკულად გარდაცვლილ დეკანოზ მელიტონ ცაგარეიშვილის შესახებ 4 დეკემბერს მელიტონი გამგზავრებულა სოფელ გუბში თავის მიწა-მამულების დასათვალიერებლად, აწ განსვენებულ დეკანოზს იქ დიდი ხნის უკმაყოფილება ჰქონია თავის მეზობელ კულა ცაგარეიშვილთან, საქმე იმ ზომამდის მისულა, რომ ცაგარეიშვილს განუზრახავს მისი მოკვლა და უკანასკნელად კიდევაც მოუყვანია სისრულეში თავისი მხეცური განზრახვა, 5 დეკემბერს ის და მისი შვილი, იმ დროს როდესაც უკანასკნელი ათვალიერებდა მამულს მოვარდნილან მელიტონთან და დანით შეუბრალებლად ყელი გამოუჭრიათ. ლუკა ცაგარეიშვილი თავისი შვილიოურთ დაუპატიმრებიათ.

✦ ქალაქის თვითმართველობა ამ დღეებში მიიღებს 8 ვაგონ შაქარს და გადასცემს ადგ. მომხმარებელ საზოგადოებებს „კოოპერაციას“ და „მომავალს“.

✦ ქუთაისის ქალაქის გამგეობა თხოვნით მიმართავს თბილისის ქალაქის გამგეობას, რათა გამოუგზავნოს ახალი, 1916 წელს შემუშავებული ხელოსანთა ნორმალური დასვენების წესდება

✦ ქალაქის სათვინანსო კომისიამ უკვე დაიწყო მომავალ 1917 წლის ხარჯთაღრიცხვის განხილვა. ხსენებულ კომისიას მეორე სხდომა ექნება, ქალაქის გამგეობის დარბაზში, ორშაბათს 12 დეკემბერს, საღამოს 7 საათზე.

✦ როგორც გადმოგვცემენ სხვადასხვა ადგილებში გამოჩენილან ახალი ჯურის ექიმბაშები, რომლებსაც თავი გამოუცხადებიათ საქონლის ექიმათ, და ისედაც საქონლის ჭირისაგან დაზარალებულ გლეხებს ატყვილებენ თურმე და 20—30 მანეთათ აძლევენ ვითომც უებარ, ჭირის საწინააღმდეგო წამალს. საჭიროა ამ ვაჟბატონების თარეშს ყურადღება მიექცეს.

✦ შუამდგომლობა დაბა ზუგდიდის ქ. შ. წ. კითხვის საზ. განყოფილებამ შუამდგომლობა აღძრა ქუთაისის გუბერნატორის წინაშე რათა ნება დართონ მათ გახსნან სოფ. ხობში (ზუგ. მაზრა) არჩილ ჯორჯაძის სახელობის უფასო წიგნთსაცავ სამკითხველო, რომლის პასუხის მგებლობას კისრულობს დავით ლიფანავა.

✦ ომში დაზარალებულთა შვილებისათვის ქ. სოხუმში ქ. შ. წ. კითხვის საზ. განყოფილებასთან დაარსდა უფასო თავშესაფარი.

✦ დაბა ახალ-სენაკის მომხმარებელი საზოგადოების გამგეობამ ქუთაისის გუბერნატორის წინაშე შუამდგომლობა აღძრა რათა ნება დართონ ხსენებულ დაბაში მოწვეულ იქნას ზუგდიდის და სენაკის მაზრის მომხმარებელ საზოგადოებათა წარმომადგენლების კრება, სასურსათო საკითხის მოსაწესრიგებლად.

✦ ქუთაისის წვრილი კრედიტის საგუბერნიო კომიტეტმა ნება დართო დაარსონ წვრილი კრედიტის ამხანაგობა სოფელ გებში (რაჭის მაზრა) ამხანაგობამ მოქმედება უნდა გაავრცელოს აგრეთვე სოფ. გლოლაში და ჩიორაში. ძირითადი თანხა აქვს საზოგადოებას ნასესხები სახელმწიფო შემნახველ-გამსესხებელ კასიდან 3000 მან.

✦ ქუთაისის მოქალაქეებათ ჩაირიცხენ: სოფელ ქვიტირის მცხოვრებნი კონსტანტინე და მიხეილ ბაბუნაშვილები და სოფელ დიმის მცხოვრები იროდი ნებიერიძე

✦ როგორც გადმოგვცემენ გიორგი როინიშვილს ქუთაისის მაზრაში აღმოუჩენია წმიდა ტყვიის და შავი სალებავის მადანი.

✦ ქალაქის სასანიტარო კომისიამ სანიტარულ წესების დარღვევისათვის ოქმი შეუდგინა შემდეგ პირებს; ვიქტორ კუხიანიძეს, ელენე ინჯიას, პეტრე წულეისკირს, ანტონ აბულაძეს და პავლე ჩიხლაძეს.

✦ 5 დეკემბერს, მესხეთის ქუჩის მცხოვრების კონსტანტინე სვანაძისათვის ვიღაც უცნობებს მოუპარავთ 17 ფუთი ღვინო ღირებული დაახლოებით 170 მანეთად და მიმალულან,

## გუბერნატ. კანცელარიის ცნობები.

— დაბა ზუგდიდში 24 ნოემბერს, ამაიაკობ ვართაგავას მოჰპარეს ცხენი თავისი უნაგირით, ეს ამბავი აცნობეს ადგ. პოლიციას, რომელმაც ძიების შემდეგ დააპატიმრა ქურდი, დ. ზუგდიდის მცხოვრები გიორგი კვარაცხელია, კვარაცხელია გადასცეს სასამართლოს, ხოლო ნაპარევი ცხენი დაუბრუნეს პატრონს.

— დაბა ზუგდიდში 25 ნოემბერს, ანდრია კალანდიას მოჰპარეს ერთი უღელი ხარი, ღირებული 200 მანეთათ. როგორც გამოარკვიეს ხარები მოუპარავს ამავე დაბაში მცხოვრებ ნესტორ ჯანაშიას, რომელიც უკვე დააპატიმრეს და გადასცეს სამსჯავროს.

— სოფ. ხორშში (სამეგრელო) 28 ნოემბერს რამოდენიმე შეიარაღებული დარაჯები თავს დაესხენ ცნობილ ყაჩაღს პ. გვასალიას და მოჰკლეს იგი თავის ეზოში. ხსენებულ ყაჩაღს ბრალდებოდა მრავალი გლეხის დაწვა და გაძარცვა, სხვათა შორის მისი მოკვლის წინა ღამით მან გადასწვა ე. ღვაბერიძის სახლი. გვასალია ხობში ჩაასვენეს და იქ დაასაფლავეს.

## † დეკანოზ მელიტონ ცაგარეიშვილის ხსოვნას.

ხუთ დეკემბერს, საღამოს, ქ. ქუთაისში, დიდათ სამწუხარო ხმა გავრცელდა— დეკანოზი მელიტონ ცაგარეიშვილი მოუკლავსთო. პირველად ეს ხმა არავის არ სჯეროდა იმიტომ, რომ ვის უნდა მოეკლა ისეთი წყნარი და საყვარელი მოძღვარი, როგორც განსვენებული მელიტონ ცაგარეიშვილი იყო, მაგრამ ბოლოს, ეს გულისა და სულის შემძრუწუნებელი ხმა დადასტურდა და ყველა ნაცნობი და უცნობი საგონებელს მიეცა ამ ძვირფასი მოძღვრის სიკვდილის გამო და მკვლელობის მიზეზის ძიებას შეუდგა.

როგორც გამოირკვა, მამა მელიტონი, ს. გუბში, (ქუთ. მაზ.) ისევ თავის მოგვარეებს მოუკლავთ, რომლებთანაც განსვენებულს ადგილზე ჰქონია დავა-სარჩელი. საქართველოში პირველი მაგალითი არ არის, რომ ძმა ძმას ჰკლავს ერთი ნაჭერი, ხშირად ხელისდადება ადგილის გულისათვის. სოციალურმა პირობებმა ჩვენში ისეთი გარემოება შექმნეს, რომ ასეთი საწუხარო ამბების მოწმენი გავხდით. ერთი ციდა ადგილის წაგება, ან მოგება ქართველი კაცისათვის, მღვდელია იგი თუ ერი, ბევრ რამეს ნიშნავს; ქართველს უადგილ-მამულოდ ცხოვრება ვერც კი წარმოუდგენია, მას სულითა და გულით უყვარს პირველად თავის საკუთარი მიდამო, ეზო გარემო, ყანა ვენახი და მერე საერთო სამშობლო — საქართველო.

სოფლები კი ჯერ-ჯერობით მაგრად დგარან, მაგრამ რაღა სიმაგრეა, თუ ერთმანეთს ავესევით და ერთი ტკაველი მიწის გულისათვის ძმა-ძმას აღარ დაინდობს და სახლის კაცი — სახლიკაცს. შენ ბევრი გაქვს და მე ცოტა და შენი ბევრი მე უნდა გამიზიარო და-მომცეო, ასეთი მოსაზრებით ცხოვრება ყოვლად შეუძლია. დიდმა გამოჩენილმა და საქვეყნოთ ცნობილმა მოაზრეებმაც თავის საკუთარი ცხოვრებით ვერ განახორციელეს ეს იდეა.

ტოლსტოი რომ ტოლსტოი იყო, იმანაც თავის ცხოვრება თავის მემკვიდრეებს დაუტოვა და განსვენებულ დეკანოზ მელიტონ ცაგარეიშვილს ვინ დასძრახავს თუ მან, წვრილი ცოლშვილით დატვირთულმა ღარიბმა მღვდელმა თავის სოფლის მამული, თავისავე მოგვარეებს ვერ დაუთმო და ამ მამულის მოვლა და პატრონობა განიზრახა.

მამა მელიტონმა შრომასა და ჭაპანწყვეტაში დალია თავისი სიცოცხლე. ქუთაისში მისი ცხოვრება ვარდ ყვავილებით არ ყოფილა მოფენილი. ჯერეთ ქუთაისის სასულიერო სასწავლებელს შეალია თავისი ძალ-ღონე, მერე ქალთა ეპარქიალურ სასწავლებელს და ამ ბოლო დროს მთავრობის ქალთა გიმნაზიაში მსახურობდა სალვთო სჯულის მასწავლებლად. პირველ ორ ადგილზე მისი შრომა და ჯაფა სასყიდლის მხრით ღირსეულად არ იყო დაფასებული და განსვენებული მარად ჟამს ხელმოკლეობას გრძნობდა, თუმცა დიდათ სახარბიელო არც უკანასკნელი იყო.

შვებას, ქალთა გიმნაზიების ვაჟთა გიმნაზიებთან გათანასწორების შემდეგ მოელოდა, მაგრამ არ დააცალეს საბრალოს. განსვენებული მეტათ ზრდილი და თავაზიანი კაცი იყო, თავის მოვალეობააღზრდა სწავლები საქმე — ესმოდა, დიდათ უყვარდა თავის სამშობლო და ჯერ კიდევ დიდხანს შეეძლო ჩუმი და ნაყოფიერი სამსახური თავის ქვეყნისა და მის შვილთადმი, მაგრამ ბოროტმა ხელმა უდროოდ მოუსპო სიცოცხლე.

საუკუნოდ იყოს ხსენება მისი!

მ. ბუაჩიძე.

## მთავრობა და საზოგადოება

ამ შემთხვევაში საქმე ის კი არ არის, თუ, ვინ იქნება მინისტრათ, არამედ ის პოლიტიკური კურსი შეიცვლება თუ არა. ამიტომ სათათბირო მართალი იყო, როცა ის ობსტრუქციას უმართავდა პრემიერ ტრეპოვს და მუქარით უკარნახებდა — გადადექიო. .ამ სიტყვებით ის მთავრობას უკარნახებდა იმავეს, რასაც ტრეპოვისთვის იმეტებდა.

ასე წარმოიდგინეთ, თვით იმის გამოქლავნებამაც კი, როგორც მაგალითად შეთანხმება ინგლისს იტალიასთან დარდანელ სტამბოლის შესახებ, მოსალოდნელი ენტუზიაზმი ვერ გამოიწვია სათათბიროში. ტრეპოვს ირონიულად უპასუხეს, ეს სიტყვები რომ საზონოვს წარმოეთქვა, მაშინ რა აღტაცებას გამოიწვევდა და ვაი, რომ დღეს იმისი ადგილი ცარიელიაო..

უბედურება სწორედ ეს არის, მაგრამ პატარა-ხნით თავი დავანებოთ სახ. სათათბიროს და სახ. საბჭოსკენ მივაქციოთ ჩვენი ყურადღება.

საბჭო ხომ ყოველთვის მხარს უჭერდა მთავრობას, დღეს უბედურება ხომ არ მომხთარა და მათ შუა შავ კატას ხომ არ გაურშენია... ავიღოთ ნიმუშისთვის იგივე პატივცემულ თავადი ტრუბეცკოის სიტყვა.. ვნახოთ რას ბრძანებს მუდამ მთავრობის ერგული თავადი... უპირველეს ყოვლისა ის ამ მთავრობის დეკლარაციაში ხედავს მხოლოდ სიტყვების რახა-რუხს, რომელნიც საქმესთან ძლიერ დაშორებული არის... ტრუბეცკოი ბრძანებს, ვიდრე სტამბოლ დარდანელზე ვილაპარაკებდეთ, უკეთესი იქნება შინაურ არევ-დარევაზე ვილაპარაკოთო. საჭიროა გაბედული მთავრობა და ვიდრე აია-სოფიის გუმბათებზე ჯვარის აღმართვას შეუდგებოდეთ საჭიროა თვით ჩვენ განვიწმინდოთ ცოდვებისაგან, ვინაიდან ჯვარი თვით ჩვენზე აღარ არისო.

ამასთან სახელ. საბჭოდან გაისმა ხმა „სამშობლო გასაცდელშიაო“. ამ ხმამ ძირიანათ შეარყია მთავრობის ნიადაგი.

რა მოხდა?!.

რამ ჩააგდო რუსთა სამშობლო განსაცდელში?.. მთავრობის დევიზი ხომ ძველებურად „ომი ბოლომდის“ არის და უსუსური დიპლომატია, ხომ დარდანელ-სტამბოლს ეპოტინება...

მაშ რაშია საქმე, ან სად არის დამარხული ძაღლის თავი!

საქმე იმაში არის, რომ ეს ყოველთვის სიტყვების რახა-რუხი არის და ამითი ქვეყნის მესვეურნი მხოლოდ დროს მოგებას ლამობენ და მეტს არაფერს, ამისი მაგალითი 17 ოქტომბრის მანიფესტი არ არის!?.გრაფ ვიტტეს დევიზი: დაქსასე და აბატონეო, კვლავ ძალაშია, კურთხეულ რუსეთში, სადაც გრაფ კოკოვცევის თქმის არ იყოს, „მადლობა ღმერთს, რომ პარლამენტი არ არის“... თორემ პარლამენტი, რომ იყოს, მაშინ ის ხომ მთავრობას. პასუხს მოსთხოვს, რაც მთავრობის გეგმაში სრულებით არ შედის...

მთავრობა ყოველთვის დაჩვეული იყო გამარჯვებას, მაგრამ დღეს ხელი შეეშალა... ეს კი რუმინეთის [illegible] წვია. . და აი მთავრობას [illegible] მიეცა... რომელ ჯგუფს დაეყრდნოს და ნდობა ვის განუცხადოს?!

სახ. სათათბიროს!

ეს ხომ შეუძლებელია, ვინაიდან ტრადიციულად „ყოფილა არის და იქნება“ მათ შუა მტრობა...

სახ. საბჭოს?!..

მაგრამ საბჭომაც ხომ დაჰგმო მთავრობა და მისი დეკლარაცია სიტყვების რახარუხათ აღიარა...

აი, არევ დარევა ამან გამოიწვია. საბჭოც, რომ მთავრობას ოპოზიციაში არ ჩასდგომოდა მაშინ საქმე კიდევ „როგორმე“ გამოკეთდებოდა, მაგრამ უბედურება ის არის, რომ საბჭომაც უღალატა...

რა ქნას მთავრობამ როგორ აღადგინოს შერყეული პრესტიჟი?...

აი საკითხი, რომლის გადაჭრას ქვეყნიერება გულის ფანცქალით ელის... ინგლისის მთავრობამ შეცდომა შეიგნო და ასკვიტმა თვითონ დაუთმო პრემიერს სავარძელი იმ ლლოიდ ჯორჯს, რომრომელსაც ხალხი ნდობას უცხადებს, მხოლოდ რუსეთის მთავრობა ჯერ კიდევ ვერ მისულა ამ გაბედულ ნაბიჯისამდე... ის ჯიუტია და მტერს ტყვედ არ დანებდება...

არსებობს ლეგენდა, რომ როცა რომაელთა იმპერია იღლებოდა, მაშინ ერთი მამულიშვილი ზარის რეკით ქვეყნიერებას აუწყებდა ამ საშინელ ამბავსო, მხოლოდ მთელ რუსეთში არც ერთი ისეთი გაბედული არ გამოჩენილა, რომ ეწინასწარმეტყველებია მართალი მომავალი... მაგრამ ერთი ცხადია, ალბი რუმინეთის გასრესამ იმაში დაარწმუნა, რომ ხალხი უნდა ეწეოდეს ბრძოლას ხელისხელ ჩაკიდებული მთავრობასთან ერთად.. დაქსაქსა იგივე დამარცხებაა, და აი, საზოგადოებამაც მოითხოვა ის, რისი უფლებაც მას ჰქონდა და ელის თავისაც, თუ კი ის დააკმაყოფალეს, მაშინ ის მზათ არის ბრძოლით მიიპოვოს თავისი უფლება..

მ. საირხელი.

## ზავის უარყოფა.

გერმანიამ სრულიად მოულოდნელად ზავის საკითხი აღძრა. ოთხთა კავშირის სახელმწიფოთა მთავრობებმა შეთანხმების სახელმწიფოთა წარმომადგენლებს წინადადებით მიმართეს, რომ ისინი მზათ არიან მოლაპარაკება დაიწყონ ზავზე და იშუამდგომლონ პაპის წინაშე, რომ მან მიიღოს ამ საქმეში შუამდგომლობა.

ოთხ სახელმწიფოთა ნოტაში სხვათა შორის მოხსენებულია: „ოთხი მოკავშირე სახელმწიფონი წინადადებას იძლევიან მოლაპარაკება დაიწყონ ზავზე. დარწმუნებულნი არიან, რომ ის პირობები, რომელსაც ოთხი სახელმწიფოს წარმომადგენლები წამოაყენებენ უზრუნველყოფენ ხალხთა თავისუფალ განვითარებას და აგრეთვე ხანგრძლივ ზავს. თუ მიუხედავად ამ წინადადებისა, შეთანხმების სახელმწიფოები იძულებულნი იქნებიან განაგრძონ ბრძოლა, — იმ შემთხვევაში ოთხ შეკავშირებულ სახელმწიფოს გადაწყვეტილი აქვს ბოლომდის იბრძოლონ და ომი სრული გამარჯვებით დააგვირგვინონ. ამასთანვე კაცობრიობის და ისტორიის წინაშე. ისინი პასუხისმგებლობას თავიდან იცილებენო.

ამ უცნაურმა ნაბიჯმა გერმანიის მხრით მთელი ევროპა აახმაურა. რუსეთიც ძალიან ახმაურდა: ყველამ თავისი აზრი გამოთქვა გერმანიის ცბიერობაზე, მის ვითომ ახალ მახეზე, ეშმაკობაზე. აღშფოთებამ სრულიად დაავიწყა ხალხს თვით წინადადება ზავის შესახებ გაეშუქებინა, რომ შესაფერი პასუხი გაეცა. შეთანხმების სახელმწიფოთა მთავრობებმა კატეგორიული პასუხი გასცეს მტრებს და ზავზე უარი სთქვეს მანამდე, სანამ გერმანიას, თავის მოკავშირეებით, არ ჩააჩოქებენ და სრულიად დამარცხებულებს იმ ზავს არ მიაღებინებენ, რომელიც შეთანხმების სახელმწიფოთათვის იქნება ხელსაყრელი. ამის დრო უნდა დადგეს. სანამდი ეს დრო არ დამდგარა, ზავი ყოვლად შეუძლებელიაო.

ამგვარი პასუხი შეთანხმების სახელმწიფოთა მთავრობათაგან ადვილი გასაგებია; მათი წარსული მოქმედებიდან მომდინარეობს; სხვაფრივ ისინი ვერ მოიქცეოდენ, ჩვენი მხრით დიდი სისუსტე იქნება, რომ ამგვარი უარი მარტო პატრიოტიზმით ავხსნათ. სახ. სათათბიროში არ მოგვასმინეს.

---

გული ჩემი იქანცება სურვილით შეუერთდეს შენს სიმღერას, მაგრამ ამაოდ ეძებს ხმას მე მინდოდა საუბარი, მაგრამ სიტყვა ჩემი არ ისხმება სიმღერაში და მოტყუებული მწარედ ვიძახი: ახ! შენ გახადე გული ჩემი ტყვედ შენი ზეამფრენი, ღვთიური მუსიკისა, ჩემო მეუფევ!

4

სიცოცხლევ ჩემი სიცოცხლისა, მე ყოველთვის ვცდილობ შევინახო სხეული ჩემი სრულ უბიწობაში, რადგანაც ვიცი, რომ წმინდა არს ცოცხალი შეხება შენი!

მე მუდამ ვცდილობ ჩემს აზრებს არ შეეხოს სიცრუე რადგანაც ვიცი, რომ შენ ის ჭეშმარიტება ხარ, რომელმაც აანთო ჩემს სულში ლამპარი გონებისა!

მე მუდამ ვცდილობ იქნება განვდევნო ჩემი გულიდან ყოველი ბოროტება და შევინახო სიყვარული ჩემი ყვავილნარში, რადგანაც ვიცი, რომ ჩემი გულის სამლოცველოში ბრძანდები შენ!

და მე ვცდილობდე ყოველ ჩემს მოქმედებაში ცხადდებოდე შენ, — რადგანაც ვიცი, რომ მხოლოდ შენი ძლიერება მაძლევს მე ძალას მოქმედებისას!

5

მე გთხოვ წუთიერ მოწყალებას — მოვთავსდე შენს ახლოს სამუშაოს, რომელსაც ხელთ მაქვს შემდეგ დავასრულებ. შენი სახიერების მარადიული მზერის გარეშე — ჩემმა გულმა არ იცის სიმშვიდე, მოსვენება და შრომა ჩემი გძელდება უსაზღვრო სიძნელით სიმძიმისა უნაპირო ზღვაში დღეს ზაფხული მიუახლოვდა ჩემს ფანჯარას თავისი ოხვრით და ჩურჩულით; ფუტკრები დაფრინავენ თავისი სიმღერით აყვავებულ ხეივნებში.

ახლა დროა მშვიდათ ყოფნისა შენს ახლოს, შენს პირდაპირ, და აქო კურთხევა ცხოვრებისა ამ იდუმალი და მრავალ ხნობით, ხანგრძლივობით დაგვირგვინებული მოცლის დროს.

6

მოწყვიტე ეს პატარა ყვავილი და წაიღე, ნუ გვიანობ! მე ვშიშობ არ დასჭკნეს ის და მტვერს არ შეუერთდეს. დაწნულ ყვავილთა შენს თაიგულში იქნებ მან ვერ იპოვოს ბინა, მაგრამ გახადე ის ღირსი შენი ხელის გაწვდისა და მოწყვიტე იგი მე ვშიშობ, შეუმჩნევლად არ დასრულდეს დღე და არ გავიდეს ჟამი მსხვერპლი შეწირვისა.

თუმცა მრავალფეროვანი არ არის იგი და სუსტია სურნელოვნება მისი, მაგრამ მოიხმარე ეს ყვავილი შენდა სამსახურად და მოწყვიტე იგი, ჯერ კიდევ გვიანი არ არის.

7

ჩემმა სიმღერამ მოიხსნა თვისი სამკაულები და ჩამოჰყარა. ის არ ბრწყინავს, არ მშვენიერობს სამკაულებით დამოსართავებით. ძვირფასოვნება დაარღვევდა ჩვენს კავშირს; შენსა და ჩემს შორის აღიმართებოდა მისი ჩხარუნი დაფარავდა შენს ჩურჩულს. ჩემი ზვაოხა პოეტისა კვდება სირცხვილისაგან შენი ხილვის დროს ოი, მეუფევ — პოეტო, მე გართხმული ვარ შენს წინაშე!

მხოლოდ მომეც ნება, საშუალება, სიცოცხლე ჩემი სადა და სწორე გავხადო, როგორიც არის ლერწმის სალამური, რომ ის შენ მუსიკით აავსო.

მ. ანაშვილი.

(შემდეგი იქნება.)

# რიტიხის გამოსვლა სათათბიროში.

მიწად-მოქმედების სამინისტროს გამგის ბ-ნი რიტიხის სახელმწიფო სათათბიროში გამოსვლამ "რუს. ვედ." ღიმილი მოჰგვარა. საქმე იმაშია, რომ ბ-ნმა რიტიხმა გულახდილად აღიარა, რომ ჯერ, საქმეებს არ გავცნობივარ და როცა გავეცნობი დალაგებით მოგახსენებთო.

უბედურებაც ისაა, ამბობს გაზეთი, რომ ამ დროს, როდესაც სამშობლო განსაცდელშია, სამინისტროს გამგეს არა აქვს თავისი აზრი ერთ-ერთ დიდ მნიშვნელოვან საკითხზე, როგორიცაა სურსათის საქმის მოწყობაზე რუსეთში. საკვირველ საშინელ მდგომარეობაშია ხალხი. როდესაც მას დიდი გამოცდილი და მცოდნე კაცები სჭირია საჩქარო და აუცილებელ საქმეთა მოსაწესრიგებლათ, სამინისტროში ინიშნებიან ისეთნი პირნი, რომელნიც მომზადებულნი არ არიან იმ თანამდებობისთვის რასაც მას აკისრებენ. რასაკვირველია ასეთ შემთხვევაში ისინი თავიანთ მრავალ ფეროვან და დიდ მნიშვნელოვან მოქმედებაში არავითარ პასუხისმგებლობას არ კისრულობენ. როდესაც სამინისტროს გამგე საქმეს ოდნავ გაეცნობა და შესძლებს სათათბიროში გამოსვლას, მას გამოცვლიან- -გადააყენებენ და ახლა ახალმა პირმა უნდა გაიაროს „საქმეთა გაცნობის და შესწავლის" პროცესი. ამ გვარ ერთი მეორეზე მინისტრთა ცვლას გაზეთი „ჩიჰარდას" ეძახის. ჩვენ წინ ლანდები იცვლებიან და საქმე კი ერთიდა-იგივე ალაგსაა გაჩერებული.

დღეს მაღალ თანამდებობაზე ამ საქმისთვის მომზადებულ პირს კი არ ნიშნავენ არამედ იწვევენ იმგვარ პიროვნებათ, რომელნიც უფრო სწრაფად ეცნობა საქმეს. რაც შეეხება მოქმედებას, მისთვის არავინ იწუხებს თავს. თუ სადმე მიგვიყვანა მთავრობის ასეთმა „პოლიტიკამ" ამას ნათლად ვხედავთ.

იგივე.

# ქალაქის თავთა კრება

ქალაქთა კავშირის მიერ მოწვეულ კრებაზე მთავარი კომიტეტის წევრებს გარდა, ოცდა ერთი სხვა და სხვა ქალაქის თავები დაესწრენ.

სხდომის დადგენილებით შემდეგი დეპეშით მიმართეს სახელმწიფო სათათბიროს თავმჯდომარეს:

,,ქალაქის თავთა კრება და ქალაქთა კავშირის მთავარი კომიტეტი სალამს უძღვნის სახელმწიფო სათათბიროს, რომელიც უკვე დაადგა ბრძოლის გზას პასუხის მგებელი სამინისტროსათვის. მხოლოდ ამგვარ სამინისტროს ხალხთა ორგანიზაციასთან ერთად, შეუძლია გაუმკლავდეს იმ დუხჭირ მდგომარეობას, რომელიც ომმა გამოიწვია. მხოლოდ მას შეუძლია ომის ზურგი გაამაგროს და საბოლაო გამარჯვებამდე მიგვიყვანოს.

გთხოვთ გადასცეთ სათათბიროს, რომ მთელი რუსეთის ქალაქთა ძალები მასთანვე ერთად იბრძოლებენ სამშობლოს დასახსნელად". შემდეგ შეუდგენ სასურსათო საქმეების განხილვას და მის მოუწყობელობას ქალაქებში. ჩვენი სახელმწიფო მეურნეობის მოუწყობლობა პირდაპირ პოლიტიკურ მოქმედებათა მიზეზია. პოლიტიკური მოუწყობლობა მთელ სახელმწიფოში სხვა და სხვა ორგანიზაციათა მოუწყობლობას ნიშნავს. ესაა მიზეზი რომ, სახალხო ორგანიზაცია კარგად არ ეწყობა რუსეთის სახელმწიფოს უბედურება იმაშია, რომ ამ დროს, როდესაც ყოველი მხრით უნდა ვცდილობდეთ ქვეყნის ზურგის გამაგრებას, ხალხის ცხოვრების მოწესრიგებას ამ დროს გვიხდება ბრძოლა პოლიტიკურ სისტემასთან. ის ენერგია, რომელიც ხალხს უნდა მოანდომოთ, დღეს მიმართულია დრო მოჭმულ პოლიტიკურ წყობილების წინააღმდეგ.

# ქუთაისის სავაჟო გიმნაზიის მგალობელთა გუნდი.

სავაჟო კლასიკურ გიმნაზიის ტაძარში ნიკოლოზობის დღესასწაულის გამო 6 დეკემბერს წირავდა ეპისკოპოსი გიორგი თავის კრებულით. წირვა-ლოცვას დაესწრენ აგრეთვე მთავრობის საქალებო გიმნაზიის მოწაფენიც. გალობდა ადგილობრივ სასწავლებლის ვაჟთა გუნდი ტოლმაჩევის ლოტბარობით. გუნდმა იგალობა რამდენიმე საგალობელი საუკეთესო ჰანგზე შედგენილი, როგორც მაგალითად: „хвалите имя Господне" ლოცვაში და „блаженъ мужъ, ите не иде на совѣтъ нечестивыхъ" წირვაში, რომელნიც შესრულდა საკმაოდ ლამაზათ და მოხდენილათ. კარგათ გალობდენ „უფალო შეგვიწყალესაც", რომელსაც ახმატკბილებდა ბანების portameuto aescenaentia", თუ არ მივიღებთ მხედველობაში მარცვალზე „წუა" გაგძელებას, რომელიც ქართულ სიმღერებში არ არის შემოღებული. მაგრამ რაც შეეხება დანარჩენ საგალობელთა უმრავლესობას, უნდა აღვნიშნოთ, რომ საერთო თვისება მათი, რომელიც სამწუხაროთ უნებლიეთ იქცევს მსმენელის ყურადღებას, არის ის, რომ ყველა ხმები გარდა დისკანტისა (მას არ ემჩნევა) მოისმის ერთგვარ თანასწორ და უცვლელ ბუნებრივი, დაუმუშავებელი და დაუქნელი კილოთი, თითქო მათთვის არ არსებობდეს არც „forte" და არც „piano", მასთან დრო გამოშვებით მოისმის ხან ცხვირით გამოძახილი, ხან ხრინწიანი ხმა განსაკუთრებით ალტების ბანები მაღალ ფარდულებში ცდილობენ ერთი მეორეს გადააჭარბონ და რაც ძალი შესწევთ, ისე სწევენ ხმას, აგრეთვე ცდებიან ალაგ ალაგ რითმასაც, რაიცა გამოიხატა მასში, რომ ბანებმა და ტენორებმა რამდენჯერ დაასწრეს შემდეგ ნოტზე გადასვლა ალტებს და დისკანტებს.

ყოველივე ეს საერთოთ აფერხებს გალობას, უკარგავს მას მწყობრობას, ექსპრესიას და მელოდიას. აგრეთვე უადგილოთ უნდა ჩაითვალოს ბავშვის მიერ შეუმუშავებელი ხმით სოლოთი რებიტატიკის წარმოთქმა გუნდის მიერ გალობის დაწყებამდე, როგორც მაგალითად „хвалите имя Господне", „исповѣдайте Господеви яко благъ, яко въ вѣкъ милость Его" და სხვა, რომელმაც გამოიწვია მოწავე ქალებში ლოცვის დროს არა სასურველი ღიმილი. მაგრამ მიუხედავათ იმისა უნდა ვსთქვათ, რომ ბ-ნ ტოლმაჩევს მიუძღვის მაინც დიდი შრომა მგალობელთა გუნდის გაწვრთნაში და სასურველია რომ მან აღნიშნული ნაკლის გასწორებაც შესძლოს.

ვარლამ ლორთქიფანიძე.

# პროვინციის ცხოვრება.

**სოფ. ზრემისხევი.** ეს სოფელი დუშეთზე მოშორებულია ათი ვრსის მანძილზე. სოფელი კარგად მოზდილია, 400 კომლი იქნება. შუაში პატარა მდინარე ჩამოუვლის. მოსავალი კარგი იცის, მაგრამ გზები არ უვარგა, ამოდენა სოფელი სრულიად უყურადღებოდ არის მიტოვებული. აქ იშვიათად იპოვით კაცს წერა-კითხვა რომ იცოდეს. გრემისხევში რამდენიმე კომლი აზნაურიც სახლობს. მაგრამ ქონებით გლეხებზე უარესად გაჭირვებულნი არიან.

— **სოფ. ძირულა.** ადგილობრივ მღვდლის, დავით სუხიაშვილის მეთაურობით აქ არსდება უმაღლესი პირველ დაწყებითი სასწავლებელი.

მახლობელ სოფლებში საქონლის ჭირი გაჩნდა.

— **სოფ. მოლითი.** ღამით 14 ნოემბერს თოფით თავი ჩამოისრჩა სოფელ ზვარეს მცხოვრებმა გრიგოლ ღოღონიძემ განსვენებული 30 წლის კაცი იყო.

— **სოფ. მეჯვრისხევი** (ქართლი) 21 ნოემბერს „მანდილოსნის" განყოფილებამ აკურთხა და გახსნა სავაჭრო სკოლა, სადაც მოზრდილ ქალებს ასწავლიან სხვა და სხვა ფერთლეულობისა და ხალიჩა ფარდაგების ქსოვას მასწავლებლად მოიწვიეს ფეიქარი ქალი ქ-ნი მარიამ გარსევანიშვილი. კურთხევას დაესწრო უამრავი ხალხი. შემდეგ მღვდელმა გამრეკელმა და საზოგადოების თავმჯდომარემ შესაფერი სიტყვები წარმოსთქვეს. წაიკითხეს იქმნა მოკლე ანგარიში და მილოცვის წერილები.

— **სოფ. აჭარა.** (შორაპ. მაზრა) ეს სოფელი დაბა ძირულიდან ორი ვერსის სიახლოვეზე მდებარეობს. სოფელი გაშენებულია მთიან ალაგზე, გვერდით ჩაუვლის მდინარე ძირულა, მდინარე პატარაა, მაგრამ ხანდისხან ადიდება იცის. მცხოვრებთა რიცხვი სოფელში 200 კომლი იქნება.

მოსავალი აქ კარგი არ იცის და ამის გამო მცხოვრები უფრო ვაჭრობას მისდევენ.

— **სოფ. კახათი.** (ზუგდიდის მაზრა) ამ არა ჩვეულებრივ დროში სოფელი კახათი სხვებს არ ჩამორჩა. აქაც თავი იჩინა ქურდ-ბაცაცობამ.

კოოპერატიული დუქნის გახსნის ნებართვა უკვე მიღებულია.

ოთხი თვეა, რაც აქ შემნახველ გამსესხებელი ამხანაგობა დაარსდა, ქ. შ. წ. კ. გ. ს. ზუგდიდის განყოფილებაში თხოვნაა გაგზანილი, რომ სოფელში უფასო წიგნთ-საცავ სამკითხველო გახსნან. იმედია აღნიშნული განყოფილება არ დაიზარებს შრომას და თხოვნას შეასრულებს.

# რუსეთი.

თურქესტანის გენერალ გუბერნატორს კუროპატკინს მხარი დაუჭერია წინანდელ გენ. გუბერნატორის შუამდგომლობისთვის ტაშკენტში უნივერსიტეტის გახსნის შესახებ.

— ხარკოვის გაზეთ „იუჟნი კრაის" რედაქტორს კიევის სამხედრო ოლქის უფროსისათვის ხარკოვის ცენზორზე საჩივრით მიუმართავს. ხარკოვის ცენზორი ხსენებულ გაზეთს თურმე ნებას არ აძლევს ჰბეჭდოს საკუთარ კორესპონდენტების მიერ გამოგზავნილ სახ. სათათბიროს სხდომების ანგარიში, გაზეთის რედაქტორი ნებას ითხოვს ჰბეჭდოს ეს ანგარიში.

— თ. დ. გ. გ. ლვოვს მიუღია მოწერილობა, რომელთაც ეკრძალება მას ერობათა კავშირის ყრილობის კრების მოწვევა...

— რუსეთის ბევრ ქალაქში მცხოვრებნი დიდ სივიწროვეს განიცდიან ნავთისა და ქვანახშირის სიმცირის გამო.

# უცხოეთი.

ფრანც იოსებს თავის ანდერძში 20 მილიონი კრონი შვილიშვილებისათვის გადაუდვია, ხოლო 10 მილიონი კრონი საქველმოქმედო საქმეებისათვის.

— ვენაში სურსათ სანოვაგის ნაკლებულობის გამო დიდი უწესრიგობა მომხდარა.

— ინგლისში გამოუქვეყნებიათ ლურჯი წიგნი, რომელიც შეეხება სომხეთის საკითხს მცირე აზიაში. წიგნში სხვათაშორის აღნიშნული ყოფილა, რომ ომის დაწყებამდე ოსმალეთში 1,8 მილიონი სომეხი ყოფილა და ეხლა კი მხოლოდ 600 ათასი დარჩენილა; დანარჩენი დაუხოციათ.

# პასუხად.

## გ. „მოქალაქე"-ს

გაზ. „სამშობლო"-ს მე 499 ნომერში მოთავსებულ წერილით თქვენ მეკითხებით, თუ რა მიზეზია, რომ ჩემ მიერ ქალაქის გამგეობაში შეტანილი მოხსენება ქალაქის განათების რევიზიის შესახებ უკანვე წავიღე. ასეთი უხერხული შეკითხვით თქვენ იწვევთ იწვევთ მკითხველ საზოგადოებაში, თითქოს მე ეს მოხსენება წამეღოს რევიზიის შედეგის მისაფუჩეჩებლად. სცდებით. ეს მოხსენება მე გადავეცი გამგეობის წევრს ვ. ი. არდიშვილს, რომელიც განაგებს საამშენებლო განყოფილებას. მან ეს მოხსენება წარუდგინა ქალაქის გამგეობას, რომელმაც თავის მხრით მიანდო მასვე ,ბ. არდიშვილს ჩემ მიერ სარევიზიო მოხსენებაში აღნიშნული ფაქტების შემოწმება.

ქალაქის გამგეობის ტეხნიკოსი

პ. გოგინავა

# წერილი რედაქციის მიმართ.

ბ. რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ ნება გვიბოძოთ თქვენი გაზეთის საშვალებით გამოუცხადოთ უღრმესი მადლობა დიდათ პატივცემულ საზოგადოებას, რომელმაც პატივი გეცა და პირველ ამ დეკემბერს, საცოდავი ჩვენი შვილის, ბრძოლის ველზედ მოკლულის პრაპორშჩიკის, დავითის ერმალოს ძის გოგავას დაკრძალვის დღეს დაგვესწრო და გვანუგეშა მწუხარებასა შინა მეოფნი მშობლები მისი-სიტყვით, საქმით და დეპეშებით ამასთანავე დიდ მადლობას გწირავთ სამხედრო მღვდელს მამა იასონ კაპანაძეს, რომელმაც ყოველივე მღვდელ-მოქმედება თავისი მგალობლებით უსასყიდლოთ შეასრულა.

მშობლები.

რედაქტორი **ი. ცინცაძე.**
გამომცემელი ამხან. „**სამშობლო**"



## რკინის გზის მოძრაობა.

(დრო ადგილობრივია ნაჩვენები).

ქ. ქუთაისს მოდის.

| | | |
|---|---|---|
| თფილისიდან | — დილის | — 7 ს. 25 წ. |
| " | — სალამ. | — 8 ს. 50 |
| ბათომიდან | — დღისით | — 12 ს. 40 |
| | — ღამის | — 2 ს. 20 |
| ფოთიდან | — დილის | — 10 ს. 26 |
| ტყიბულიდან | — საღამოს | — 7 ს. 00 |
| შორაპნიდან | — დილის | — 9 ს. 24 |

ქ. ქუთაისიდან გადის.

| | | |
|---|---|---|
| თფილისისაკენ | — დილის | — 11 ს. — |
| " | — ღამის | — 12 ს. 15 |
| ბათომისაკენ | — საღამოს | — 7 ს. 3 |
| " | — დილის | — 5 ს. 55 |
| ფოთისაკენ | — დღისით | — 4 ს. |
| ტყიბულისკენ | — დილის | — 8 ს. 13 |
| შორაპნისაკენ | — დღით | — 5 ს. 18 |

ქ თფილისში დაარსდა
მელნის ქარხანა
„ალაროდია"
ამზადებს საუკეთესო საკანცელარიო მელანს,
ალიზარინის ფერისას
პირველხანად ქარხანა გაჰყიდის მელანს ორ ორ გირვანქიან ბოთლებით. ლაზ-
რეთებსა და სამხედრო დაწესებულებათ შეღავათით დაეთმობათ.
მელანი ასლის გადასაღებადაც (კოპიროვკა) კარგია.
დაკვეთა დაუყოვნებლივ სრულდება ადგილობრივ თუ გაგზავნით.
მისამართი: თფილისი, მოსკოვის ქუჩა, № 16, „ალაროდია".

ექიმმა ალექსანდრე მაქსიმეს ძე ასათიანმა განაახლა ავად მყოფების მიღება (ქალურ, ვენერიულ და შინაგან) ავათმყოფებისა ყოველდღე დილის 11—2 საათამდე, საღამოს 6—8 საათამდე ჰუშკინისა და ბალახვანის ქ. კუთხე, სახლი № 3 ტელეფონი № 101. თ.

ექიმი ი. ჩარკვიანი ქალაქის საავადმყოფოს ორდინატორი. იღებს კანის, ვენერიულ და სიფილისიან ავადმყოფებს. (სისხლში შესხმა „606" და „914") დილით $12^{1}/_{2}$—2 საათ. საღამოს 6—8 ს. მისამართი: ლვვაშოვის ქუჩა, ალიბეგოვის სახ. ტელეფონი № 135. თ.

ოდესის საბებიო კურსებ დამთავრებული
ბებია ს. ს. ნემსაძისა უვლის ყვავილს, უკეთებს ნემსებს, ეხმარება მშობიარეთ და აძლევს ავადმყოფთ რჩევა-დარიგებას. მისამართი: ოლდენბურგის ქუჩა, ბებეშვილის სახლები, ფოსტის მახლობლათ.

გამოცდილი სტუდენტი ამზადებ[ს]
მოწაფეებს ყველა კლასებისათვის. ჰყა[ვს]
ჯგუფი საოფიცრო მოწაფეებისა I და [...]
ხარისხ. იყვანს პირობით. მისამართი: თფ[ილისის]
ლისის ქ. № 35 მიქელაძის სახლებ[ში]
მეორე სართულზე, გაზ. „სამშობლო"[ს]
რედაქციის ზევით. მიღება 9—12 ს. [...]
3—6 ს. საღ. მასწავლებელი ა. ზ. თე[...]
ტელეფონი № 183.

დოქტორი მედიცინისა
დიმიტრი ალექსანდრეს ძე
ნაზაროვი.
ღებულობს ბავშთა და შინაგანი სნეულ[ე]-
ბით ავათმყოფებს მუდამ დღე, მხოლო[დ]
დილის ათი საათიდან თორმეტამდე.
გენერლის ქუჩა, საკუთარი სახლი.
10—4 დღ. გამ.

აჳი სენი.
ყოველ მის სტადიაზე წარმატებით რჩება გაუმჯობესებულ ფრანგულ
ექ. დე-ვეზის პრეპარატის საშუალებით.
სიფილისის მოსარჩენათ ხმარებულ საშუალების უმნიშვნელო მოქმედებას იმ დისკვნამდი მიყავს ავათმყოფნი, რომ წამლობას თავს ანებებენ და ამით თავის თავს მწვავე შედეგების საფრთხეში აგდებენ: სიფილისის ბაცილები, მძლავრდებიან რა ავათმყოფის სხეულში, შხამვენ მთელს ორგანიზმს საშიშარი შხამით, რომელიც იწვევს პროგრესიულ სიდამბლეს, სხეულის სრულიად დაშლას. მხოლოდ რადიკალური და ენერგიული წამლობა სიფილისის წინააღმდეგ ათავისუფლებს ავათმყოფს სიკვდილისაგან.
პრეპარატი ექ. დე-ვეზისა ცნობილია ექიმებისაგან შეუდარებელ საშუალებათ სიფილისის წინააღმდეგ შინაურულათ წამლობის დროს.
პრეპარატი ექ. დე-ვეზისა სრულებით სპობს სიფილისის ბაცილებს და სწმენდს შხამისაგან სხეულის ყველა ნაწილს.
პრეპარატი ექ. დე ვეზისა სპობს მუწუკებს, ჩირქის დენას გუმსა და შხამს რომელიც სიფილისისაგან არის გამოწვეული, სპობს თავის ტკივილს, ფეხების ავათმყოფობას, ზურგისას, უძილობას, მეხსიერების, მხედველობისა და სმენის სისუსტეს.
პრეპარატი ექ. დე-ვეზისა დიად სამსახურს უწევს ავათმყოფს და აშორებს მას ხირხემლისა და მთელი ორგანიზმის პროგრესიულ სიდამბლეს. ხითვარშივის თავიდან ასაცდენათ პრეპარატი ექ. დევეზისა იყიდება ქ. ქუთაისში მხოლოდ „პრაქტიკულ მედიცინის ლაბორატორიის" განყოფილებაში ქუთაისში ა. ნ. შავერზაშვილის სააფთიაქო მაღაზიაში, გიმნაზიის ქუჩა, თეატრის პირდაპირ.
ფასი ერთი კოლოფისა 6 მანეთი, წამლობის მთელი კურსისათვის საჭიროა 3—5 კოლოფი.
პოპულიარული ბროშურა იგზავნება უფასოთ.
9—(წლიური)

ნებადართულია სამხედრო ცენზურისაგან.